ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრძელებს თანამშრომლობას ევროკომისიის პროგრამა ERASMUS MUNDUS-თან და აცხადებს კონკურსს თსუ მაგისტრატურის სტუდენტებისთვის (პირველი სამიზნე ჯგუფი) ევროპის 8 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სრული სამაგისტრო სტიპენდიის მოსაპოვებლად (მაქსიმუმ 24 თვე)

სააპლიკაციო დოკუმენტაციის მიღება ხდება ელექტრონულად შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:

http://www.electra-project.eu/index.php/applicants/how-to-apply

სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი	
ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ	გაცემული შესაბამისი ფაკულტეტის მიერ (დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია)
ბაკალავრის დიპლომი	არქონის შემთხვევაში, ცნობა, რომ დამთავრებული გაქვთ და აღების სავარაუდო თარიღი
ბაკალავრიატის ნიშნების ამონაწერი	გაცემული შესაბამისი ფაკულტეტის მიერ (დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია, თუ ფაკულტეტის მიერ არ არის ინგლისურ ენაზე მომზადებული)
ენის საერთაშორისო სერთიფიკატი (TOEFL, IELTS)	თსუ-ს მიერ გაცემული ენის ცოდნის დამადასტურებელი ცნობის მფლობელებს შეუძლიათ აღნიშნული ცნობის წარდგენა. შესაძლებელია, ასევე, რომ ზოგიერთმა უნივერსიტეტმა სავალდებულოდ მიიჩნიოს საერთაშორისო ენის სერთიფიკატის ქონა, გადაამოწმეთ ინფორმაცია სასურველი უნივერსიტეტის მოთხოვნებში!!
მოტივაციის წერილი	რატომ გსურთ ზემოაღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მიღება (ინგლისურ ენაზე)
CV	იხილეთ თანდართული ნიმუში (დანართი 1; EN)
ერთი რეკომენდაციის წერილი	უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ გაცემული (ინგლისურ ენაზე, შესაბამისი ფაკულტეტის ბეჭდით დამოწმებული)
პასპორტი	სურათიანი გვერდის დასკანერებული ვერსია
სოციალურ-ეკონომიკური ან/ და ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი ცნობა	ოფიციალური დოკუმენტი, რომ მიეკუთვნებით სოციალურად დაუცველ ფენას ან იღებთ სოციალურ შემწეობას, ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნოტარიალურად დამოწმებული ინგლისური ვერსია)

პროექტში მონაწილე ევროპული უნივერსიტეტები:

1. ოლდენბურგის უნივერსიტეტი, გერმანია
2. ოულუს უნივერსიტეტი, ფინეთი

3. ვალენსიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, ესპანეთი
4. ლიმერიკის უნივერსიტეტი, ირლანდია
5. კრაკოვის იაგელონიის უნივერსიტეტი, პოლონეთი
6. ტურინის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, იტალია
7. მინოს უნივერსიტეტი, პორტუგალია
8. სოფიას ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის უნივერსიტეტი, ბულგარეთი

პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული სასწავლო პროგრამები:
https://emecw.gis.lu.se/priorityFields.aspx?location=all&lot=ELECTRA
პრიორიტეტული სასწავლო მიმართულებებია: მდგრადობა და გარემოს დაცვა
მობილობის პერიოდი: 2013/2014 – 2014/2015 აკადემიური წელი
მობილობის ხანგრძლოვობა: მაქსიმუმ 24 თვე , სრული სამაგისტრო კურსი
სტიპენდია მოიცავს 1000 ევროს ყოველთვიურად, საერთაშორისო მგზავრობისა და დაზღვევის დაფინანსებას.
შენიშვნა: გაითვალისწინეთ, რომ განაცხადის გაკეთება არ შეუძლიათ სტუდენტებს, რომლებიც უკანასკნელი 5 წლის მანძილზე 12 თვეზე მეტი ვადით სწავლობდნენ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში!

სრული სააპლიკაციო დოკუმენტაციის პროექტის ვებ-გვერდზე ატვირთვის ბოლო ვადა:
2013 წლის 3 მარტი

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ
თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს ელ-ფოსტაზე: erasmus@tsu.ge
(თსუ პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი 121)